საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030653490850420

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3041 **16 / ივლისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგეხსენებათ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 14 ივლისის N01-339/ო ბრძანების საფუძველზე ცენტრს მოხმარების მიზნით გადმოეცა 1.779.475 ლარის ღირებულების სწრაფი მარტივი ტესტები ახალი კორონავირუსის Covid-19 დიაგნოსტიკისთვის. კერძოდ:

- ანტისხეულის განმსაზღვრელი ტესტი - 320 ცალი;
- ანტიგენის განმსაზღვრელი ტესტი - 30.200 ცალი;
- ანტისხეულის განმსაზღვრელი სწრაფი კომბინირებული ტესტი - 40,325 ცალი;
- კორონავირუსის იმუნოქრომატოგრაფიული მეთოდით დეტექციის ტესტი - 100 ცალი.

ბრძანებაში არაა განსაზღვრული თუ რომელ მიზნობრივ ჯგუფებზე უნდა განაწილდეს აღნიშნული ტესტები, შესაძლებელია თუ არა სამედიცინო დაწესებულებების მიერ ამ ტესტების მიზნობრივი ჯგუფების ტესტირებისათვის გადაცემა, ტესტირების სამედიცინო მომსახურების კომერიცულად მიწოდების პირობებში და ა.შ.

ამასთან, ფინანსთა სამინისტროდან ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგვეგზავნა სასწრაფო მოთხოვნა 15-20 ათასი ტესტის გადაცემის მიზნით, რათა არ შეფერხდეს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ ქვეყანაში შემომსვლელი სატვირთო ავტომობილების მძღოლების საზღვარზე ტესტირების პროცესი. ასევე, ცალკეული სამედიცინო დაწესებულებებიდან შემოდის შეტყობინებები ტესტებით მომარაგების მიზნით.

იმისათვის, რომ არ შეფერხდეს ქვეყანაში შემომსვლელი სატვირთო ავტომობილის მძღოლების საზღვარზე ტესტირება, ცენტრი ოფიციალური მოთხოვნის მიღებისთანავე განახორციელებს ტესტების გადაცემას მოთხოვნილი რაოდენობით, მხოლოდ ამ კონტინგენტის ტესტირებისთვის. ამასთან, ტესტების ლოჯისტიკის პროცესის მოწესრიგებისა და მიზნობრიობის დაცვის მიზნით აუცილებელია, რომ სამინისტროს ან საქართველოს მთავრობის მიერ უმოკლეს ვადაში გამოიცეს სამართლებრივი აქტი, რომელიც ამოქმედდება 2020 წლის 16 ივლისიდან დამდგარ შემთხვევებზე და რომელშიც იქნება განსაზღვრული:

- სახელმწიფო უწყებებისა და სამედიცინო დაწესებულებების ნუსხა, რომელსაც ცენტრმა უნდა გადასცეს სამინისტროდან მიღებული ტესტები;
- მიზნობრივი ჯგუფების ზუსტი ჩამონათვალი, რომელთა ტესტირებისთვისაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული ტესტების გამოყენება;
- სამედიცინო დაწესებულებების მიერ სახელმწიფოდან უსასყიდლოდ მიღებული ტესტებით მიზნობრივი ჯგუფებისათვის კომერციული სამედიცინო მომსახურების მიწოდების პირობები

და ტარიფები;

- ტესტებით უწყვეტად მომარაგების პირობები, პასუხისმგებელი სამსახურები, ვინ უნდა განახორციელოს შეკვეთა, რა პერიოდულობით და რა ფორმით (სამინისტროდან გადმოცემული ტესტები, მხოლოდ სატვირთოს მძღოლების ტესტირების საშუალოდღიური რაოდენობის 1.5-2.0 ათასი პირობებში, საკმარისია 20-25 დღის მანძილზე).
- ტესტების ხარჯვის აღრიცხვისა და ანგარიშგების მექანიზმი, თუ რა ფორმით და ვის წინაშე უნდა განახორციელოს ცენტრმა მიღებული ტესტების ხარჯვის თაობაზე ანგარიშგება და რა დოკუმენტები იქნება ამისთვის მოთხოვნილი.

თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, განახორციელოთ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ინიცირება, რათა ცენტრის მიერ 16 ივლისიდან ტესტების გაცემის პროცესი მოექცეს სათანადო სამართლებრივ ჩარჩოებში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე